დანართი №5

ანგარიშგების ფორმების ინსტრუქციები

1. ზოგადი და ადმინისტრაციული დებულებები

1.1 შესავალი

ეს დოკუმენტი ადგენს ელექტროენერგეტიკული სექტორის ლიცენზიატი საწარმოებისთვის ანგარიშგების მინიმალურ მოთხოვნებს. მარეგულირებლის მიერ ლიცენზიატებისთვის შესაძლოა დაწესდეს ანგარიშგების სხვა განსხვავებული მოთხოვნებიც.
აქ მოცემული ფორმები განკუთვნილია ანგარიშგების პერიოდში რეგულირებადი საწარმოების მონიტორინგისთვის, მათ ფინანსურ მდგრადობასა და წარმოებისუნარიანობაზე ინფორმაციის ხელმისაწვდომობისთვის.
ყველა დამხმარე გვერდზე მოცემული თანხები უნდა შეესაბამებოდეს ძირითად ანგარიშში შეტანილ თანხებს.

1.2 ლიცენზიის მფლობელები რომლებზეც ვრცელდება წესები:

- დისპეტჩერიზაციის საწარმო;
- გადამცემისაწარმოები;
- ელექტროენერგიის გამანაწილებელი (ქსელი) საწარმოები;[1]
- ელექტროენერგიის გამანაწილებელი (მიწოდება) საწარმოები;
- ელექტროენერგიის წარმოების ობიექტები, რომლებსაც ტარიფებს უდგენს მარეგულირებელი.

1.3 წარდგენა, ხელმოწერის ავტორიზება და საკონტაქტო ინფორმაცია

1.2. პუნქტში ჩამოთვლილმა ელექტროენერგეტიკული სექტორის საწარმოებმა უნდა შეავსონ და წარადგინონ ამ დოკუმენტში მოცემული წლიური და კვარტალური ანგარიშგების ფორმები.

თითოეულმა საწარმომ წლიური ანგარიში უნდა წარადგინოს მომდევნო წლის 30 აპრილამდე.

თითოეულმა საწარმომ კვარტალური ანგარიში უნდა წარადგინოს მომდევნო კვარტლის 30-ე დღემდე.

ყველა ანაგარიში ხელმოწერილი უნდა იყოს საწარმოს გენერალური და ფინანსური დირექტორების მიერ. საწარმოს შეუძლია განსაზღვროს ანგარიშის წარდგენაზე უფლებამოსილი პირი.

ყველა წარდგენილი ფორმა უნდა შეიცავდეს იმ პირის სახელს და გვარს, თანამდებობას და საკონტაქტო მონაცემებს, რომელიც მარეგულირებლის მიერ დამატებითი კითხვების დასმის

[1] დღესდღეობით ელექტრონერგიის განაწილებისა და მიწოდების საქმიანობები განცალკევებული არ არის.

შემთხვევაში, უფლებამოსილია და აქვს შესაძლებლობა მიაწოდოს განმარტებები ანგარიშთან დაკავშირებით.

1.4 ანგარიშგების პერიოდები

წლიური ანგარიშგების პერიოდი შეადგენს ერთ კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

კვარტალური ანგარიშგების პერიოდი არის ყოველი კალენდარული კვარტლის მონაკვეთი:

პირველი კვარტალი - 1 იანვრიდან 31 მარტის ჩათვლით;
მე-2 კვარტალი - 1 აპრილიდან 30 ივნისის ჩათლით;
მე-3 კვარტალი - 1 ივლისიდან - 30 სექტემრის ჩათვლით;
მე-4 კვარტალი - 1 ოქტომბრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

1.5 ანგარიშგების ფორმები

ანგარიშგების ყოველწლიური ფორმის სრული კომპლექტი შედგება შემდეგი ნაწილებისგან:

- საწარმოს შესახებ ინფორმაცია და მონაცემები;
- ფინანსური ფორმები;
- არაფინანსური ფორმები (სატარიფო გაანგარიშებისდადასტურებისთვის, შედარებითი ანალიზისთვის და საიმედო მონაცემთა ბაზის შექმნისთვის განკუთვნილი ფორმები).

თუკი საწარმო ფლობს ერთზე მეტ ლიცენზიას, მან ასევე უნდა წარადგინოს გაერთიანებული ანგარიშგების ფორმები.

ამ დოკუმენტში მოცემულია ორი ფორმა, რომლის ნიმუშიც არ არის დადგენილი და მათი შევსება საწარმოებს შეუძლიათ თავიანთი შეხედულებისამებრ. სულ მცირე, საწარმომ უნდა დაურთოს მარეგულირებლის მიერ მოცემულ სახელმძღვანელოებში გათვალისწინებული ინფორმაცია. ეს ფორმებია:

1. ორგანიზაციული სტრუქტურა.
2. ცვეთის კვლევის ანგარიში (ზოგადად ეს ანგარიში მზადდება დამოუკიდებული პროფესიონალი პირების მიერ და საჭიროებას არ წარმოადგენს მისთვის ნიმუშის დადგენა).

ხსენებული წარდგენის მიზნით ერთიანი საბუღალტრო-სააღრიცხვო სისტემის ფორმები საქმიანობის ყველა ფორმისთვის წარმოდგენილია ცალკე MS Excel ფორმატის სახით:

საქმიანობის სახელწოდება:	*ანგარიშგების ფორმის ფაილის სახელწოდება:*
დისპეტჩერიზაცია	*ანგარიშგების ფორმა - დისპეტჩერიზაცია .xlsx*
გადაცემა	*ანგარიშგების ფორმა - გადაცემა.xlsx*
განაწილება (ქსელი)	*ანგარიშგების ფორმა – განაწილება ქსელი.xlsx*

განაწილება (მიწოდება)	*ანგარიშგების ფორმა - განაწილება მიწოდება.xlsx*
წარმოება	*ანგარიშგების ფორმა - წარმოება.xlsx*
გაერთიანებული	*ანგარიშგების ფორმა - გაერთიანებული.xlsx*

წარმოდგენილი ფორმების კოდირებისა და სახელწოდების მინიჭების საკითხი პირობითია. ჰიდროგენერაციისა და ენერგეტიკის დაგეგმვის პროექტის სამუშაო გუნდი თვლის, რომ კოდირებისა და სახელწოდების მინიჭება (საიდენტიფიკაციო ნომერი) თითოეული ცხრილის მიმართ უნდა განახორციელოს სემეკმა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

2. საწარმოს შესახებ ინფორმაცია და მონაცემები

„საწარმოს შესახებ ინფორმაციისა და მონაცემების“ ფორმა მოცემული უნდა იყოს ამ დოკუმენტის დანართში (ფორმას შეიმუშავებს მარეგულირებელი). წლიური ანგარიშის პირველი გვერდი უნდა მოიცავდეს სამეწარმეო დაწესებულების შესახებ შემდეგ ზოგად ინფორმაციას:

2.1 დაწესებულების იურიდიული სახელწოდება:

საწარმოს სახელწოდება სადამფუძნებლო დოკუმენტების მიხედვით.

2.2 მის მფლობელობაში არსებული ლიცენზი(ებ)ის სახე:

ლიცენზიის სახელწოდება და საიდენტიფიკაციო ნომერი.

2.3 დირექტორთა საბჭო

დირექტორთა საბჭოს ყველა წევრის სახელი, გვარი, მისამართი, ტელეფონის ნომერი და მათი თანამდებობა საბჭოში.

2.4 საწარმოს დირექტორები და დეპარტამენტის უფროსები

საწარმოს დირექტორებისა და მთავარი დეპარტამენტების/განყოფილებების უფროსების სახელები და გვარები, მისამართები, ტელეფონის ნომრები და დეპარტამენტის/განყოფილების სახელწოდებები.

2.5 საწარმოს ოფისებისა და მომსახურების ცენტრების ადგილმდებარეობა

საწარმოს ოფისებისა და მომსახურების ცენტრების ადგილმდებარეობა (მისამართი) და ტელეფონის ნომრები.

2.6 საქმიანობაზე ზეგავლენის მქონე მნიშვნელოვანი მოვლენები

ეს პუნქტი საწარმოს აძლევს შესაძლებლობას აღწეროს ის მოვლენები, რომლებმაც საანგარიშგებო წლის განმავლობაში ზეგავლენა მოახდინეს მის საქმიანობაზე, დაუგეგმავი ხარჯების, შემოსავლების და ელექტროენერგიის გაყიდვის ჩათვლით. ის ასევე საშუალებას

აძლევს საწარმოს აღწეროს ის მოვლენები, რომელებიც მისი ვარაუდით ზეგავლენას მოახდენენ საწარმოს საქმიანობაზე საპროგნოზო წელს.

2.7 შესყიდვებისა და გაყიდვების შემაჯამებელი დასკვნა

ეს არის შემაჯამებელი მონაცემები გასული და მიმდინარე წლების ელექტროენერგიის შეძენა–გაყიდვის და ასევე გასული წლიდან მიმდინარე წლამდე არსებული ცვლილებების შესახებ. მონაცემები წარდგენილ უნდა იქნეს ელექტროენერგიის საზომ ერთეულში (კილო ვატი საათში), ხოლო ბილინგი და აღრიცხვა- ლარში. (ეს მოთხოვნა ეხება გამანაწილებელ (მიწოდების) საწარმოებს).

3. ფინანსური ფორმები

ფინანსური ანგარიშგების მოთხოვნები ეხება ამ დოკუმენტის 1.2 პუნქტში ჩამოთვლილ ყველა საწარმოს, თუ არ არის განსაზღვრული განსაკუთრებული უფლებების მქონე საწარმოები.

ფინანსური ანგარიშგების მთავარ მიზანს წარმოადგენს ლიცენზიატი საწარმოების ფინანსური მდგომარეობისა და საქმიანობის შესახებ ობიექტური ფინანსური ინფორმაციის მიწოდება. ანგარიშგება უნდა უზრუნველყოფდეს, რომ არ მოხდეს სხვა არარეგულირებადი საქმიანობის სუბსიდირება მომხმარებლების ხარჯებით და რომ ყველა ტრანზაქცია განხორციელდეს ღია, წინდახედულ და თანხის გონივრული ხარჯვის პრინციპებზე დაყრდნობით.

ლიცენზიატმა საწარმომ საბჭოს უნდა წარუდგინოს მარეგულირებლის მიერ რეგულირებადი საწარმოს გასული კალენდარული წლის წლიური აუდირებული ფინანსური ანგარიშები. გამანაწილებელმა უნდა გაამჟღავნოს ინფორმაცია საოპერაციო სეგმენტის შესახებ (IFRS 8 „საოპერაციო სეგმენტი“), ეწევა თუ არა არარეგულირებად საქმიანობას ან ერთზე მეტ რეგულირებად საქმიანობას. საანგარიშგებო წლის აუდირებული ფინანსური ანგარიშები წარდგენილ უნდა იყოს მომავალი წლის 30 აპრილამდე.

ანგარიშგების ფორმები დაჯგუფებულია ენერგეტიკული ბაზრის საქმიანობის ტიპის მიხედვით, რომელსაც აქვს იდენტური ნუმერაცია და მიეკუთვნებიან შემდეგ ცხრილებს:

1. ცხრილი 1 - მოგება–ზარალის უწყისი რეგულირების მიზნებისთვის;
2. ცხრილი 2 - ფინანსური მდგომარეობის ანგარიში რეგულირების მიზნებისთვის;
3. ცხრილი 3 - რეგულირებადი ძირითადი საშუალებების მოძრაობა;
4. ცხრილი 4 - რეგულირებადი ხარჯების ჩამონათვალი მისი ტიპის მიხედვით;
5. ცხრილი 5 - ძირითადი საშუალებების ჩაშლა სადგურების მიხედვით - რომლებიც განკუთვნილია ელექტროენერგიის გადაცემის, დისპეტჩერიზაციის, წარმოებისა და განაწილების საწარმოებისთვის;
6. ცხრილი 6 - საცდელი ბალანსი;
7. ცხრილი 7 – კაპიტალური დანახარჯების ფორმა.

ყველა საანგარიშგებო ფორმა შედგება მოცემული ერთობლივი სათაურებისგან და ერთიანი საბუღალტრო-სააღრიცხვო სისტემის ანგარიშებზე ზუსტი მითითებებისგან. ანგარიში უნდა შეესაბამებოდეს ანგარიშგებაში მოცემულ ცალკეულ პუნქტებს. ზუსტი მიკუთვნებისთვის, ანგარიშთა გეგმის თითოეულ ანგარიშს უნდა გააჩნდეს მთავარი ან გატარების ანგარიშის სტატუსი. თუ ანგარიშის სტატუსია „მთავარი ანგარიში“, მას აუცილებლად უნდა გააჩნდეს აგრეთვე გატარების ანგარიში. გატარების ანგარიში არის საბოლოო დონე ერთიანი საბუღალტრო–სააღრიცხვო სისტემის მიზნებისათვის.

3.1 ცხრილი 1 - მოგება–ზარალის უწყისი რეგულირების მიზნებისთვის:

რეგულირების მიზნებისთვის მოგებარების მიზნებისთ არის საანგარიშო წლისთვის საწარმოს შემოსავლის და ხარჯის ანგარიში, რომელიც სრულად შეესაბამება და ასახავს ერთიანი საბუღალტრო სააღრიცხვო სისტემის ანგარიშთა გეგმას.

საწარმომ უნდა წარმოადგინოს გაერთიანებული მოგება-ზარალის უწყისი რეგულირების მიზნებისათვისთუ:

ა) მას უფლება მიეცა ორი ან მეტი ლიცენზირებადი საქმიანობის განხორციელებაზე;

ბ) მან განახორციელა არარეგულირებადი საქმიანობა.

ფორმა წარმოდგენილია ანგარიშგების ფაილის ელექტრონულ ცხრილში „ცხრილი 1“.

3.2 ცხრილი 2 - ფინანსური მდგომარეობის ანგარიში რეგულირების მიზნებისთვის

„ფინანსური მდგომარეობის ანგარიში რეგულირების მიზნებისთვის“ არის საანგარიშო წელს საწარმოს ბალანსი, რომელიც სრულად შეესაბამება ერთიანი საბუღალტრო სააღრიცხვო სისტემის ანგარიშთა გეგმას.

საწარმომ უნდა წარმოადგინოს გაერთიანებული ბალანსი თუ;

ა) მას უფლება მიეცა ორი ან მეტი ლიცენზირებადისაქმიანობის განხორციელებაზე;

ბ) მან განახორციელა არარეგულირებადი საქმიანობა.

ფორმა წარმოდგენილია ანგარიშგების ფაილის ელექტრონულ ცხრილში „ცხრილი 2“.

3.3 ცხრილი 3 – ძირითადი საშუალებებისგენილია ა

ძირითადი საშუალებების მოძრაობის ფორმა განკუთვნილია საანგარიშო პერიოდის დასაწყისიდან დასასრულამდე ძირითადი საშუალებების ცვლილებების შესახებ ანგარიშგებისათვის. საწარმომ უნდა წარმოადგინოს რეგულირებადი ძირითადი საშუალებების მოძრაობის შესახებ ინფორმაცია როგორიცაა: საწყისი ბალანსი, დამატებები, ექსპლუატაციიდან გასვლა, ზარალი, ცვეთა და მესამე მხარის სახსრებით შექმნილი/შეძენილი აქტივები.
საწარმომ უნდა შეავსოს „ძირითადი საშუალებების მოძრაობის“: ფორმა ყველა ძირითადი საშუალებისთვის და ანგარიშგების დონისთვის რეგულირებადი ანგარიშთა გეგმის 4 ციფრის გამოყენებით.
ფორმაში არის შესავსები გრაფები და ასევე გამომთვლელი გრაფები. გამომთვლელ გრაფებს აქვთ სხვადასხვა ფერი და ამ გრაფაში მონაცემის შეყვანა არ არის საჭირო. არის ასევე სანიმუშოდ შევსებული ხაზი, რომელიც შევსებულია გაანაგრიშების შედეგის საჩვენებლად.

საწარმომ უნდა წარმოადგინოს გაერთიანებული ანგარიში ძირითადი საშუალებების მოძრაობის შესახებ თუ:

ა) მას უფლება მიეცა ორი ან მეტი ლიცენზირებადი საქმიანობის განხორციელებაზე;

ბ) მან განახორციელა არარეგულირებადი საქმიანობა.

ფორმა წარმოდგენილია ანგარიშგების ფაილის ელექტრონულ ცხრილში „ცხრილი 3“.

3.4 ცხრილი 4 - რეგულირებადი ხარჯების ჩამონათვალი ტიპის მიხედვით

„რეგულირებადი ხარჯების ჩამონათვალი ტიპის მიხედვით“ განკუთვნილია ხარჯების ჩამონათვალის ანგარიშგებისთვის. კომპანიამ უნდა გამოიყენოს მოცემული ანგარიშთა გეგმა რეგულირების მიზნებისათვის ანგარიშგების ფორმის თითოეული კომპონენტისთვის.

საწარმომ უნდა წარმოადგინოს გაერთიანებული რეგულირებადი ხარჯების ჩამონათვალი ტიპების მიხედვით თუ;

ა) მას უფლება მიეცა ორი ან მეტი ლიცენზირებადი საქმიანობის განხორციელებაზე;

ბ) მან განახორციელა არარეგულირებადი საქმიანობა.

ფორმა წარმოდგენილია ანგარიშგების ფაილის ელექტრონულ ცხრილში „ცხრილი 4“.

3.5 ცხრილი 5 – ძირითადი საშუალებების ჩამონათვალი სადგურის მიხედვით

ძირითადი საშუალებების ჩამონათვალი სადგურის მიხედვით არის იმ ძირითადი საშუალებების შესახებ ანგარიშგება, რომლებიც მიეკუთვნება სადგურს. საწარმომ უნდა გამოიყენოს მოცემული ანგარიშთა გეგმა რეგულირების მიზენბისთვის ანგარიშგების ფორმის თითოეული კომპონენტისთვის.

საწარმომ უნდა წარმოადგინოს გაერთიანებული ძირითადი საშუალებების ჩამონათვალი სადგურის მიხედვით თუ:

ა) მას უფლება მიეცა ორი ან მეტი ლიცენზირებადი საქმიანობის განხორციელებაზე;

ბ) მან განახორციელა არარეგულირებადი საქმიანობა.

ფორმა წარმოდგენილია ანგარიშგების ფაილის ელექტრონულ ცხრილში „ცხრილი 5“.

3.6 ცხრილი 6 - საცდელი ბალანსი

საცდელი ბალანსი მოიცავს საწყისი ბალანსის, ბრუნვის და საბოლოო ბალანსის ყველა ანგარიშს ანგარიშგების პერიოდისთვის.

კომპანიასაწარმომ უნდა წარმოადგინოს გაერთიანებული საცდელი ბალანსი თუ;

ა) მას უფლება მიეცა ორი ან მეტი ლიცენზირებადი საქმიანობის განხორციელებაზე;

ბ) მან განახორციელა არარეგულირებადი საქმიანობა.

საცდელი ბალანსი გარკვევით უნდა ასახავდეს და შეესაბამებოდეს აუდირებული ფინანსური ანგარიშების პუნქტებს.

ფორმა წარმოდგენილია ანგარიშგების ფაილის ელექტრონულ ცხრილში „ცხრილი 6“.

3.7 ცხრილი 7 – კაპიტალური დანახარჯების ფორმა

კაპიტალური დანახარჯების ფორმა განკუთვნილია კაპიტალური დანახარჯების ანგარიშგებისთვის. საწარმომ უნდა აღწეროს ანგარიშგების პერიოდში შექმნილი ან სხვაგვარად წარმოქმნილი კაპიტალური დანახარჯების თაობაზე დეტალური ინფორმაცია. ცალკეული აღწერილობის ჯამური ზღვარი შეადგენს 20 000 ლარს ყოველ აშენებულ/შექმნილ ნივთზე.

საწარმომ უნდა წარმოადგინოს გაერთიანებული კაპიტალური დანახარჯები თუ:

ა) მას უფლება მიეცა ორი ან მეტი ლიცენზირებადი საქმიანობის განხორციელებაზე;

ბ) მან განახორციელა არარეგულირებადი საქმიანობა.

ფორმა წარმოდგენილია ანგარიშგების ფაილის ელექტრონულ ცხრილში „ცხრილი 7“.

4. არაფინანსური ფორმები

არაფინანსური ფორმები წარმოადგენს დამატებით ინფორმაციას, რომელიც ეხმარება მარეგულირებელს ობიექტურ განსჯასა და სამართლიანი და გონივრული ტარიფების დადგენაში.

4.1 საოპერაციო ანგარიშგება

საოპერაციო ანგარიშგების მოთხოვნები ვრცელდება ამ დოკუმენტის 1.2. პუნქტში ჩამოთვლილ ყველა საწარმოზე, თუკი არ არის განსაზღვრული განსაკუთრებული უფლებების მქონე საწარმო.

ანგარიშგების ფორმები დაჯგუფებულია ენერგეტიკული ბაზრის საქმიანობის ტიპის მიხედვით, რომლებსაც აქვთ იდენტური ნუმერაცია და შემდეგი ცხრილების მნიშვნელობა:

1. ცხრილი 8 - გადამცემი სისტემის მონაცემები რომლებიც ვრცელდება გადამცემ და გამანაწილებელ საწარმოებზე
2. ცხრილი 9 - ელექტროენერგიის წარმოების ინფორმაცია, რომლებიც ვრცელდება ელექტროენერგიის მწარმოებელ ენერგო სადგურებზე;
3. ცხრილი 10 - ორგანიზაციული სტრუქტურა;
4. ცხრილი 11 - საინფორმაციო ფორმა პერსონალის შესახებ;
5. ცვეთის კვლევის ანგარიში.

4.1.1 ცხრილი 8 - გადამცემი სისტემის მონაცემები, რომლებიც ვრცელდება გადამცემ და გამანაწილებელ საწარმოებზე.

იგი წარმოადგენს მომხმარებლისთვის მომსახურების გაწევის დანიშნულების მქონე გადამცემი ხაზებისა და ქვესადგურების ჯამს.
ფორმაში გადაცემისა და განაწილების საწარმოების მიერ წარმოდგენილი უნდა იყოს ინფორმაცია მომსახურე ხაზების სიგრძის (კმ) შესახებ ძაბვების მიხედვით.

ტრანსფორმატორების რაოდენობა ვრცელდება გადამცემ და გამანაწილებელ საწარმოებზე.

ფორმა წარმოდგენილია ანგარიშგების ფაილის ელექტრონულ ცხრილში „ცხრილი 8“.

4.1.2 ცხრილი 9 - ელექტროენერგიის წარმოების ინფორმაცია, რომლებიც ვრცელდება ელექტროენერგიის მწარმოებელ ენერგო სადგურებზე

ანგარიში უნდა მოიცავდეს შემდგომ ინფორმაციას:

- ელექტროენერგიის წარმოებისთვის გამოყენებული საწვავის რაოდენობა და ღირებულება - ეს ფორმა ვრცელდება ელექტროენერგიის მწარმოებელ საწარმოებზე;
- გამომუშავებული ელექტროენერგიის მოცულობა;
- გაყიდული ელექტროენერგიის მოცულობა;
- ელექტროსადგურის დადგმული სიმძლავრე;

- ელექტროსადგურის ეფექტიანობის მაჩველებელი - ეს ფორმა ვრცელდება ელექტროენერგიის მწარმოებელ საწარმოებზე.

ფორმა წარმოდგენილია ანგარიშგების ფაილის ელექტრონულ ცხრილში „ცხრილი 9“.

4.1.3 ცხრილი 10 - ორგანიზაციული სტრუქტურა

საწარმომ ორგანიზაციული სტრუქტურაში უნდა წარმოადგინოს შემდეგი ინფორმაცია:
დეპარტამენტების, განყოფილებების და სხვა სტრუქტურული ერთეულების (რომლებიც ერთიანდება ფუნქციის, გეოგრაფიული ადგილმდებარეობით ან სხვა ნიშნის მიხედვით) ჩამონათვალი; საწარმოთაშორისი განყოფილებების იერარქია. ორგანიზაციული სტრუქტურა არის განზრახ შეუვსებელი ბლანკი და ლიცენზიატებს შეუძლიათ საკუთარი სურვილით აირჩიონ ორგანიზაციული სტრუქტურის წარდგენის ფორმატი.

ფორმა წარმოდგენილია ანგარიშგების ფაილის ელექტრონულ ცხრილში „ცხრილი 10“.

4.1.4 ცხრილი 11 - საინფორმაციო ფორმა პერსონალის შესახებ

საწარმომ უნდა წარმოადგინოს პერსონალის შესახებ შემდეგი ინფორმაცია:

- თითოეულ დეპარტამენტში დასაქმებულთა რაოდენობა და ტიპური თანამდებობების ჩამონათვალი;
- თითოეულ დეპარტამენტში ჩამოთვლილი თანამდებობების მიხედვით მინიმალური, მაქსიმალური და საშუალო ხელფასი;
- წახალისების საშუალო რაოდენობა (ყველა მიღებული პრემიის ჩათვლით) აღმასრულებელი დირექტორებისა და დირექტორების გარდა; და
- ყველა აღმასრულებელი დირექტორისა და დირექტორის (ან მსგავსი თანამდებობის პირების) წახალისების საშუალო რაოდენობა.

ფორმა წარმოდგენილია ანგარიშგების ფაილის ელექტრონულ ცხრილში „ცხრილი 11“.

4.1.5 ცვეთის კვლევის ანგარიში

საწარმომ *უნდა წარმოადგინოს ცვეთის კვლევის ანგარიში, რომელსაც ახორციელებენ დამოუკიდებელი პირები (ვინც უფლებამოსილია ამ დავალების შესრულებაზე), 3-5 წლიანი პერიოდულობით.*

იმ შემთხვევაში თუ საწარმოს არ გააჩნია ცვეთის კვლევის ანგარიში, მან უნდა წარადგინოს ცვეთის ხარისხის ცხრილი ძირითადი საშუალებების კატეგორიისთვის და მისცეს ახსნა-განმარტება მოცემულ ინფორმაციაზე.
საწარმომ უნდა აღწეროს ძირითადი საშუალებების დაცვის პროცედურები და თუ როგორ ხორციელდება აქტივების მენეჯმენტი.

4.2 ცხრილი 12 - გამყიდველის ანგარიშგება

გამანაწილებელმა უნდა წარმოადგინოს გასული წლის განმავლობაში განხორციელებული 20 ყველაზე ძვირადღირებული შესყიდვის სია, რომელიც უნდა მოიცავდეს:

- გამყიდველის სახელწოდება;
- შესყიდული საქონლის ან მომსახურების აღწერა;

- ღირებულება ლარში;
- გამოყენებული შესყიდვის ფორმა;
- არის თუ არა გამყიდველი ურთიერთდამოკიდებული პირი.

შენიშვნა: თუკი წლის განმავლობაში ერთი და იგივე სახის შესყიდვა განხორციელდა რამოდენიმეჯერ, გთხოვთ ერთ შესყიდვად წარმოადგინოთ და მიუთითოთ მათი ჯამური ღირებულება.

საწარმომ უნდა წარმოადგინოს (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ტენდერისა და სხვა შესყიდვის პროცედურების შიდა წესები.

ფორმა წარმოდგენილია ანგარიშგების ფაილის ელექტრონულ ცხრილში „ცხრილი 12“.

4.3 ცხრილი 13 - ანგარიშგება ურთიერთდამოკიდებულ პირებთან განხორციელებული ტრანზაქციების შესახებ

ლიცენზიატებმა ცალკე უნდა წარმოადგინონ ურთიერთდამოკიდებულ პირების ცხრილი, როდესაც ტრანზაქციის საერთო ღირებულება ერთ კონკრეტულ დაწესებულებასთან (პირთან) საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში აღემატება 50 000 ლარს (შენიშვნა: თუკი წლის განმავლობაში ერთი და იგივე სახის შესყიდვა განხორციელდა რამოდენიმეჯერ, გთხოვთ ერთ შესყიდვად წარმოადგინოთ და მიუთითოთ მათი ჯამური ღირებულება.).

დამატებით, მარეგულირებელმა შეიძლება მოითხოვოს, რომ საწარმოს შესყიდვის პროცედურები და/ან დამოუკიდებელი მხარეების სერტიფიცირების პროცედურებისას გამყიდველის შერჩევის პროცედურა იყოს მიუკერძოებელი და შეესაბამებოდეს ბაზრის პირობებს. ცხრილში უნდა აისახოს შემდგომი ინფორმაცია:

- დაწესებულების (პირის) სახელწოდება;
- ხელშეკრულების საგანი;
- ყოველი ტრანზაქციის ღირებულება ლარში, ფასისა და ღირებულების განსაზღვრის ფორმა.
- ყველა ტრანზაქციის განხორციელების თარიღი და პროექტის ტიპის ტრანზაქციებისთვის დაწყების და დასრულების თარიღები;
- გამყიდველის შერჩევის პროცესში გამოყენებული შიდა პროცედურების ტიპი (ტენდერი, პირდაპირი მიყიდვა და ა.შ.);
- ურთიერთდამოკიდებული პირის დაფუძნების წელი; და
- შენიშვნები - საწარმოს შეუძლიათ დამატებით გააკეთონ ნებისმიერი შენიშვნა, თუკი მიაჩნიათ, რომ იგი არის სასარგებლო და დამხმარე ინფორმაცია.

ფორმა წარმოდგენილია ანგარიშგების ფაილის ელექტრონულ ცხრილში „ცხრილი 13“.